

6.1. საწარმოს არსი და მისი დაფუძნების პირობები

როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტი არის საწარმო.

საწარმო არის ეკონომიკური ერთეული, რომელიც ქმნის საქონელს ან ეწევა მომსახურებას და დამოუკიდებლად იღებს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს საკუთარი რესურსების გაანალიზებისა და განაწილების შესახებ (ფლობს გადაწყვეტილებათა მიღებაში თავისუფლების განსაზღვრულ ხარისხს). საწარმო შეიძლება ახორციელებდეს ერთ ან რამდენიმე საქმეს, ერთი ან მეტი ადგილმდებარეობის მიხედვით. საწარმო შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით „**ეკონომიკურ საქმიანობად** ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა“.¹ ეკონომიკურ საქმიანობას არ განეკუთვნება საქველმოქმედო, რელიგიური, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მათთვის კანონმდებლობით მიკუთვნებული ფუნქციების შესრულებასთან.

ეკონომიკური საქმიანობა იყოფა **სამეწარმეო და არასამეწარმეო** ეკონომიკურ საქმიანობად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საწარმო არის სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტი. რა არის თვით სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობა?

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით „**სამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება** „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული საქმიანობა, აგრეთვე ისეთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სავაჭრო გარიგების ან სხვა სამეურნეო ოპერაციების სახით, მათ შორის ფასიანი ქაღალდების ან სხვა ქონების შექენასა და რელიზაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობა, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

- ა) ასეთი საქმიანობა ხორციელდება სისტემურად და აღნიშნული ოპერაციების განმახორციელებელი პირის პროფესიული საქმიანობაა;
- ბ) გამყიდველის მიერ ხდება მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების რეალიზაცია;
- გ) ასეთი ოპერაციები ხორციელდება სავაჭრო, სავაჭრო-საშუამავლო ან საშუამავლო საქმიანობის ფარგლებში.²

ახლა ვნახოთ რას თვლის სამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“. ამ კანონის მიხედვით, „**სამეწარმეო ეკონომიკურ**

¹საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ., 2005, გვ. 14.

²საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ., 2005, გვ. 14.

საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად“.¹

ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობებს საქართველოში ახორციელებს საწარმო. იგი მეურნეობის დამოუკიდებელი სუბიექტია, იქმნება პროდუქციის გამოსაშვებად, მომსახურებისათვის და სამუშაოების შესასრულებლად. მისი საქმიანობის მიზანია მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება და მოგების მიღება.

საკუთრების ფორმის მიხედვით, საწარმო შეიძლება იყოს **სახელმწიფო, კერძო და შერეული ტიპის**. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში კერძო საწარმოებს დომინირებული მდგომარეობა უკავიათ.

მასშტაბის მიხედვით საწარმოები ჯგუფდება **მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოებად**. საქართველოში მცირედ ითვლება საწარმო, სადაც 20 კაცამდეა დასაქმებული და მისი წლიური ბრუნვა 500000 ლარამდეა. საშუალოდ, სადაც – 20-დან 100 კაცამდეა დასაქმებული და 1,5 მლნ ლარამდე წლიური ბრუნვა აქვს, ხოლო მსხვილ საწარმოდ – როცა 100-ზე მეტი კაცია დასაქმებული წლიური ბრუნვა 1,5 მლნ ლარზე მეტია.

საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტებია: წესდება, გადაწყვეტილება დაფუძნების შესახებ და დამფუძნებელთა ხელშეკრულება. საქართველოში საწარმოს სახელმწიფო და/ან საგადასახადო რეგისტრაციას ახორციელებს რეგისტრაციაზე უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო. საწარმოს სახელმწიფო და/ან საგადასახადო რეგისტრაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთდროულად, ასევე საჭიროებისამებრ ცალ-ცალკე – ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით, საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებითა და/ან რეგისტრაციის მოწმობის გაცემით.

საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოს აქვს უცხო ქვეყანაში რედომიცილების (გადატანის) უფლება საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად შემდეგი პირობების შემთხვევაში:

- ა) ამ ქვეყანასთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით არ არის აკრძალული საწარმოს რედომიცილება;
- ბ) საწარმოს წინააღმდეგ საქართველოში არ მიმდინარეობს სასამართლო დავა ან გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება ან სისხლის სამართლის საქმის წარმოება;
- გ) საწარმოს რედომიცილების დროისათვის საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიმართ არ გააჩნია საგადასახადო დავალიანება.

¹საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, თბ., 2008, გვ.1.

6.2. სამეწარმეო-საქმიანობის სუბიექტთა სამართლებრივი ფორმები

ინდივიდუალური საწარმო არის ერთი პირის საწარმო. იგი არის ფიზიკური პირი. მისი სახელმწიფო რეგისტრაცია შეიძლება საგადასახადო ორგანოში განცხადების და პირადობის მოწმობის წარდგენისთანავე. ინდივიდუალური მეწარმის და სამეწარმეო ამხანაგობის რეგისტრაციას არ სჭირდება სახელმწიფო ბაჟის, მოსაკრებლის ან სხვა რაიმე გადასახდელის გადახდა.

სამეწარმეო ამხანაგობა. როგორც სახელწოდებაც ცხადყოფს, არის ორი ან ორზე მეტი პირის გაერთიანება (დაამხანაგება) სამეწარმეო საქმის განსახორციელებლად.

სამეწარმეო ამხანაგობა რეგისტრირდება საგადასახადო ორგანოში ერთ-ერთი იმ პირის მისამართის მიხედვით, რომლის სახელიც (სახელწოდებაც) მითითებულია სამეწარმეო ამხანაგობის სახელწოდებაში.

სამეწარმეო ამხანაგობის რეგისტრაციისათვის წარდგენილ უნდა იქნეს: განცხადება და მონაწილეთა პირადობის მოწმობები.

სამეწარმეო ამხანაგობის სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია ხორციელდება განცხადების წარდგენისთანავე.

სამეწარმეო ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი. იგი არის გადასახადების გადამხდელი სუბიექტი მსგავსად საწარმოსი, გარდა მოგების გადასახადისა. მოგების გადასახადის ნაცვლად სამეწარმეო ამხანაგობის წევრები იხდიან: საშემოსავლო გადასახადს, თუ ფიზიკური პირები არიან, ხოლო მოგების გადასახადს, თუ იურიდიული პირები არიან ამხანაგობის წევრები.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორი) ერთობლივად, სოლიდარულად ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და საზოგადოება კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.¹

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, ანუ თითოეული პარტნიორი პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით პირდაპირ და უშუალოდ. პარტნიორებს შორის სხვადასხვა შეთანხმება ბათილია მესამე პირისათვის.

სოლიდარული საზოგადოების დაფუძნებისათვის პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შენატანის ოდენობა. შენატანი შეიძლება იყოს: მატერიალური და არამატერიალური ქონება, მომსახურების და სამუშაოს შესრულება.

სოლიდარული პასუხისმგებლობის პარტნიორებს თანაბარ პირობებში თანაბარი უფლებამოვალეობები აქვთ, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

¹ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, თბ., 2008, გვ. 21.

ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. მათ აგრეთვე უფლება აქვთ მოსთხოვონ პარტნიორს საზოგადოების მიმართ დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულება.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთი პარტნიორის სახელს „სპს“-ის დამატებით. თუ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში გაერთიანებული არიან მხოლოდ იურიდიული პირები, მათი სახელწოდება უნდა შეიცავდეს ერთ-ერთი მათგანის საფირმო სახელწოდებას „სპს“-ის დამატებით.

სპს-ში ხელმძღვანელობის უფლება აქვს ყველა პარტნიორს.

სპს-ის პარტნიორთა კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. კრებაზე თითოეულ პარტნიორს აქვს თითო ხმა.

ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს დგინდება მოგება (ზარალი) და გამოითვლება მასში პარტნიორის წილი, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. არასრული შენატანის მქონე პარტნიორის წილობრივი მოგება შევსების მიზნით მიემატება მის შენატანს. პარტნიორის ზიარი ზარალი და სამეურნეო წლის განმავლობაში შენატანიდან გახარჯული ფული ჩამოიწერება მოგებიდან.

სპს-დან პარტნიორის გასვლის შემთხვევაში მისი წილი საზოგადოების ქონებაში ნაწილდება სხვა დანარჩენ პარტნიორებზე, როგორც ვალდებული არიან საზოგადოებიდან გასული პარტნიორი გაათავისუფლონ საზოგადოების ვალებიდან და გადაუხადონ ის, რასაც იგი საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღებდა.

პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში მის ყოველ მემკვიდრეს შეუძლია გახდეს საზოგადოების პარტნიორი.

სპს-ის პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების შესახებ. ეს გადაწყვეტილება 14 დღის განმავლობაში უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში და წერილობითი შეტყობინება გაეგზავნოს ყველა ცნობილ კრედიტორს და საგადასახადო ორგანოს. გადაწყვეტილება ლიკვიდაციის შესახებ მეორედ უნდა გამოქვეყნდეს 30-ე დღეს და დაინიშნოს კრედიტორთა ვალების დაკმაყოფილების ვადები.

საწარმოს ლიკვიდაციის რეგისტრაციას და სამეწარმეო რეესტრიდან მის დაუყოვნებლივ ამოშლას ახორციელებს მარეგისტრირებელი ორგანო.

კომანდიტური საზოგადოება. კომანდიტური საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, თუ საზოგადოების კრედიტორების წინაშე ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება – შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები) ეწოდებათ, ხოლო თუ

სხვა პარტნიორის პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის – სრული პარტნიორები (კომპლემენტარები).¹

სრული პარტნიორები, ანუ კომპლემენტარები, საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ, კომანდიტური საზოგადოების მიმართ ზოგადი ნაწილის წესებთან ერთად გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესაბამისი წესები, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კომანდიტური საზოგადოების პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

კომანდიტური საზოგადოების წესდების მიღების, მასში და სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ სრულ პარტნიორებს.

შეზღუდულ პარტნიორებს უფლება აქვთ, მოითხოვონ წლიური ანგარიშის ასლი და საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაციის გაცნობით შეამოწმონ წლიური ანგარიშის სისწორე.

შეზღუდული პარტნიორები არ მონაწილეობენ საზოგადოების ხელმძღვანელობაში. მათ არ შეუძლიათ გამოვიდნენ ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში სრული პარტნიორების მიერ განხორციელებული მოქმედებების წინააღმდეგ. შეზღუდული პარტნიორები ხმის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში.

კომანდიტურ საზოგადოებაში ყოველი წლის ბოლოს ბალანსის საფუძველზე დგინდება მოგება ან ზარალი და გამოითვლება მასში პარტნიორის წილი. მოგების (ზარალის) განაწილება განისაზღვრება საზოგადოების წესდებით. შეზღუდული პარტნიორი ზარალის ანაზღაურებაში მონაწილეობს თავისი შენატანით, ხოლო თუ პასუხისმგებლობა დადგება შესატანის სრულ შეტანამდე, მაშინ მონაწილეობს ჯერ კიდევ შეუტანელი შესატანითაც.

შეზღუდულ პარტნიორს აქვს მხოლოდ კუთვნილი მოგების მოთხოვნის უფლება. მას არ შეუძლია ამ მოგების მოთხოვნა, ვიდრე მისი შენატანი დათქმულ თანხაზე ნაკლებია. შეზღუდული პარტნიორი ვალდებული არ არის დააბრუნოს მიღებული მოგება შემდგომი ზარალის გამო.

შეზღუდული პარტნიორის წილი შეიძლება გასხვისდეს ან მემკვიდრეობით გადაეცეს სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე.

კომანდიტური საზოგადოების პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება ლიკვიდაციის, შეერთების, შერწყმის, ფილიალების გახსნის, გაყოფის შესახებ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“ არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი

¹ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, თბ., 2008, გვ. 23.

კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც, მაგრამ არაუმეტეს ორმოცდაათი პირისა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის წევრები საზოგადოების ვალდებულებებისთვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ შეტანილი წილით.

საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შეტანის ოდენობა. შენატანი შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონება.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებს უფლება-მოვალეობები თანაბარ პირობებში აქვთ, თუმცა წესდებით შეიძლება განისაზღვროს განსხვავებული უფლება-მოვალეობებიც.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას უფლება აქვს საფირმო სახელწოდება შეარჩიოს საქმიანობის საგნის, პარტნიორის სახელის, ანდა სულაც შეთხზას იგი თავისი ფანტაზიით. ყველა შემთხვევაში სახელწოდებას უნდა დაემატოს „შპს“. „შპს“-ის ნაცვლად შეიძლება სიტყვა „კომპანიის“ გამოყენებაც.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი განისაზღვრება ნებისმიერი ოდენობით, ხოლო საწესდებო კაპიტალში პარტნიორთა შენატანების ოდენობაზე არ არის დამოკიდებული მოცემული საზოგადოების პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა მოგების განაწილებისა თუ საერთო კრებაზე ხმების დათვლისას.

პარტნიორთა უფლება-მოვალეობები და წილების თავდაპირველი განაწილების წესი განისაზღვრება შპს-ის წესდებით. შპს-ის პარტნიორებს უფლება აქვთ გაასხვისონ ან დატვირთონ წილი საზოგადოების კაპიტალში.

შპს-ის მართვის ორგანოების სტრუქტურა, შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება მისი წესდებით. შპს-ის პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

სააქციო საზოგადოება. „სააქციო საზოგადოება“ არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით გათვალისწინებული კლასისა და რაოდენობის აქციებად.¹

სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისათვის. სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით. აქციონერების საკუთრების უფლება სააქციო საზოგადოებაში, რომელიც მან მიიღო აქციების შექმნით, დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით.

¹ საქართველოს კანონი “მეწარმეთა შესახებ“, თბ., 2008, გვ. 27.

აქციები შეიძლება იყოს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას საერთო კრებაზე. პრივილეგიური აქცია უზრუნველყოფს დივიდენდების მიღებას დადგენილი განაკვეთით. დივიდენდის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება წესდებით. ერთი კლასის აქციები თანაბარი უფლებებით უზრუნველყოფს მათ მფლობელებს.

სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი საზოგადოების აქციების ნომინალური ღირებულების ტოლია.

აქციონერული საკუთრების თავისუფლება ისაა, რომ აქციონერული კაპიტალი (და სხვა ქონება) ეკუთვნის საზოგადოებას როგორც იურიდიულ პირს და არ წარმოადგენს აქციონერთა საკუთრებას. ამ ქონების ნაწილზე აქციონერებს საკუთრების უფლება ეძლევათ მხოლოდ სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში.

საწარმოთა სხვა ორგანიზაციულ ფორმებთან შედარებით სააქციო საზოგადოება არის არა პირთა გაერთიანება, არამედ კაპიტალის გაერთიანება.

აქციონერების წილი მოგებაში განისაზღვრება აქციათა რაოდენობისა და კლასის შესაბამისად.

სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ევალებათ დორექტორებს. დირექტორის უფლებამოსილებები განისაზღვრება მასთან წესდების შესაბამისად დადებული ხელშეკრულებით.

დირექტორები სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებულ ზარალზე პასუხს აგებენ მთელი თავისი ქონებით.

სააქციო საზოგადოებაში ყოველწლიურად წლიური ბალანსის შედგენიდან 2 თვის ვადაში ტარდება მორიგი საერთო კრება, საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – მოადგილე).

საერთო კრებას უფლება აქვს:

- შეიტანოს ცვლილებები წესდებაში;
- მიიღოს გადაწყვეტილება ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ;
- მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
- აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც უნდა იყოს რაოდენობრივად სამის ჯერადი;
- აირჩიოს აუდიტორი და ა.შ.

სამეთვალყურეო საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს. თავმჯდომარე იწვევს სხდომებს, რომლებიც ტარდება კვარტალში ერთხელ.

სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს დირექტორის (დირექტორების) საქმიანობას, მას შეუძლია გააკონტროლოს საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაცია, ქონებრივი ობიექტები, ნიშნავს დირექტორს (დირექტორებს) და ა.შ.

კოოპერატივი. „კოოპერატივი“ არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლების გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.¹

კოოპერატივებს მიეკუთვნება:

- ა) ნედლეულის მომპოვებელი კოოპერატივები, რომლებიც ამ ფორმით ნედლეულს მოიპოვებენ საკუთარი წევრებისათვის;
- ბ) სასოფლო-სამეურნეო ან სამეწარმეო პროდუქციის ერთობლივი გასაღების კოოპერატივები;
- გ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნის დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რეალიზაციის კოოპერატივები;
- დ) მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემქმნი და საცალო ვაჭრობით მათი რეალიზაციის კოოპერატივები;
- დ) სასოფლო-საკრედიტო კოოპერატივები;
- ე) საკრედიტო კავშირები;
- ვ) სამომხმარებლო კოოპერატივები.

კოოპერატივი თავისი ვალდებულებების გამო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით.

კოოპერატივის წევრის მინიმალური პაის ოდენობას განსაზღვრავენ დამფუძნებლები. ერთ წევრს (დამფუძნებელს) შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე პაი.

კოოპერატივის წესდება ითვალისწინებს, რომ კოოპერატივის წევრებს კავშირიდან გასვლის შემთხვევაში მიეცეთ პაის უკან მოთხოვნის უფლება. კოოპერატივის წევრს უფლება აქვს პაი გადასცეს სხვა პირს.

კოოპერატივის საერთო კრება მოწვეული უნდა იქნეს წელიწადში ერთხელ მაინც. კრებაზე თითო წევრს აქვს თითო ხმა. წევრს უფლება აქვს განახორციელოს თავისი ხმა კრებაზე პირადად ან წარმომადგენლობის მეშვეობით.

თუ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა 50-ზე მეტია, საერთო კრების ნაცვლად წარმომადგენელთა კრების მოწვევა შეიძლება. წარმომადგენელთა რაოდენობა უნდა იყოს სულ ცოტა 50. ყოველ წარმომადგენელს დაენიშნება თითო სათადარიგო პირი.

კოოპერატივს ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება არანაკლებ 3 და არაუმეტეს 15 წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს არა აქვთ უფლება ამავე

¹ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, თბ., 2008, გვ. 41.

დროს იყვნენ გამგეობის წევრები. სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს გამგეობას, ამოწმებს საბუღალტრო ბალანსს და ჩანაწერებს, ბუღალტრულ ბალანსს და ა.შ.

კოოპერატივის გამგეობა შედგება არანაკლებ 2 დირექტორისაგან. დირექტორები არ შეიძლება იყვნენ კოოპერატივის წევრები. დირექტორებს ირჩევენ 4 სამეურნეო წლის ვადით.

მოგების განაწილება კოოპერატივში პირველ სამეურნეო წელს ხდება შეტანის პროპორციულად, მომდევნო წლებში კი მოგების მიმატებით და ზარალის ჩამოწერით წინა წლის პაის პროპორციულად.

კოოპერატივის წევრთა რიცხვში არ შეიძლება იყოს 5 კაცზე ნაკლები.

რეგისტრაციის მომენტისთვის კოოპერატივის წევრებმა თავიანთ ანგარიშზე უნდა შეიტანონ მინიმუმ 10% პირველი საპაიო შესატანი.

კოოპერატივის წევრებს შეუძლიათ გავიდნენ კოოპერატივიდან. ასეთ დროს მათ ეძლევათ პაის ღირებულება. კოოპერატივის წევრს შეუძლია თავისი პაი გადასცეს კოოპერატივის სხვა წევრს.

კოოპერატივის წევრის სიკვდილის შემთხვევაში მისი მემკვიდრე შეიძლება მიღებულ იქნეს კოოპერატივის წევრად.

საქართველოს საწარმოები თავიანთ საქმიანობაში დამოუკიდებლები არიან. სახელმწიფოს მხრიდან დაწესებულია მხოლოდ სამეწარმეო ურთიერთობის საკანონმდებლო და ნორმატიულ-მართლებრივი რეგულატორები. კერძოდ:

- ნორმატიული მოთხოვნები საქონლის შინაარსის და ხარისხისადმი (სტანდარტული, სანიტარიული და ეკოლოგიური ნორმატივები და ა.შ.);
- საქმიანობის წარმართვა ლიცენზიებით, სერტიფიკატებით;
- სანქციები და შეზღუდვები აკრძალული საქმიანობისთვის.

ამასთან, საქართველოს სახელმწიფო უქმნის მეწარმეებს სამუშაო გარემოს. ეს გამოიხატება სამეწარმეო ინფრასტრუქტურისა (ბანკები, ბირჟები და ა.შ.) და სამართლებრივი გარემოს შექმნაში და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ რადგან საქართველოს ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ტიპისაა, ე.წ. ტრანზიტულია, ამიტომ საქართველოს სახელმწიფოს როლი მის რეგულირებაში უფრო დიდია, ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. ამას ის გარემოება იწვევს, რომ საქართველოს საწარმოთა ადმინისტრაციის მენტალიტენტი სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნების საწარმოთა მსგავსად მთლიანად და საზოგადოდ ჯერ ვერ განთავისუფლდა საბჭოთა სტერეოტიპებისგან. ამიტომ ქვეყნის მთავრობის პოლიტიკა ეკონომიკის მართვაში რამდენადმე განსხვავებულია დასავლური მიდგომებისაგან. საქართველოში საწარმოთა მართვის საბაზრო და სახელმწიფო ბერკეტები პარალელურ რეჟიმებში მუშაობს.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო გამოდის ძალაუფლების მატარებლის (რომელიც თამაშის წესებს ამყარებს ბაზარზე და განსაზღვრავს ბაზრის

სუბიექტების ფუნქციონირების პირობებს), ეკონომიკური რეგულირების, მხარდაჭერის და სტიმულირების მექანიზმის და სახელმწიფო ქონების მესაკუთრის (რომლის საწარმოები ბაზარზე მუშაობენ სამეწარმეო-ეკონომიკური სუბიექტების სტატუსით) როლში. მეტად მნიშვნელოვანია ამ სამი როლის დაბალანსება. რომელიმე ერთი როლის შემცირება გამოიწვევს ბაზრის აგენტების აქტიურობის დამუხრუჭებას.

ეკონომიკური ურთიერთობის საერთო რეგულირების გარდა, სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საწარმოთა მხარდაჭერის სელექციური პოლიტიკის გატარება. ეს შესაძლებელია როგორც საერთო მოქმედების ნორმატიული აქტების საფუძველზე, ისე ე.წ. „ადრეული“ ნორმატიული და ადმინისტრაციული აქტების შემუშავებით და რესურსებისა და სხვადასხვა საშუალებების კონკურსის წესით განაწილებით. ამ ქმედების მიზანია ეკონომიკის პრიორიტეტული მიმართულებების განვითარება.

არ არსებობს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩართვის ერთხელ და სამუდამოდ დაწესებული რაციონალური ნორმები. ნებისმიერმა ქვეყანამ გარკვეულ პერიოდში ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს მისი კონკრეტული ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე. ცხადია, თუ ქვეყანაში ინფლაციის მკვეთრი ზრდაა, მაღალია პროცენტული განაკვეთები და ა.შ., მაშინ სახელმწიფომ ეკონომიკის რეგულირება უნდა გააძლიეროს.

6.3. ბიზნესის ორგანიზაციათაშორისი ფორმები

კორპორაცია (აქციონერული საზოგადოება) პრაქტიკულად განვითარებული ქვეყნების წარმოების მართვის ორგანიზაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. კორპორაცია – ეს არის ორგანიზაციათა კავშირი შექმნილი მის წევრთა ინტერესებისა და პრივილეგიების დასაცავად.

კორპორაციას უფლება აქვს გამოვიდეს თავისი სახელით, მოაწეროს კონტრაქტებს ხელი, აიღოს და გასცეს კრედიტები და ა.შ. ცალკეული აქციონერები, ანუ მისი წევრები, კორპორაციის საქმიანობაზე პასუხს არ აგებენ.

თავიანთი განვითარების ისტორიის მანძილზე კორპორაციები სხვადასხვა პრობლემების წინაშე იდგნენ. გასული საუკუნის 50-იან წლებში კორპორაციებში დომინირებდა წარმოების ორგანიზაციის და აღჭურვის პრობლემა, 60-იან წლებში პროდუქტების (საქონლის) პრობლემა, 70-იან წლებში ბაზრების პრობლემა, 80-იან წლებში კონკურენციის პრობლემა, 90-იან წლებში გარე გარემოს (მაგალითად, ეკოლოგიის) პრობლემა.

თანამედროვე კორპორაცია ეს არის დედა კომპანია მრავალრიცხოვანი შვილობილი და შვილიშვილი საწარმოებით, ფილიალებით, სააგენტოებით და ა.შ., რომელთაც განსხვავებული იურიდიული სტატუსი და ოპერატიული ფინანსური დამოუკიდებლობა აქვთ.

კორპორაციას აქციონერები არ მართავენ. ისინი თავიანთი უფლების დელეგირებას ახდენენ პრეზიდენტზე (გენერალურ დირექტორზე), თუმცა მასზე გავლენას ახდენენ სხვადასხვა მეთოდებით: როგორც წესი, აქციონერები ირჩევენ წარმომადგენელთა საბჭოს (გამგეობა), რომელიც, თავის მხრივ, აკონტროლებს კორპორაციის ხელმძღვანელობის მუშაობას. საბჭოს უფლება აქვს არა მარტო დაიქირაოს და გაათავისუფლოს მმართველები, არამედ გადახედოს მის გადაწყვეტილებებს და შეცვალოს ისინი. კორპორაციული კანონმდებლობის მიხედვით საბჭო ვალდებულია წარადგინოს და დაიცვას არა ადმინისტრაციის, არამედ ამომრჩეველ აქციონერთა ინტერესები.

კორპორაციები საბაზრო ეკონომიკის ორ ფუნდამენტურ ამოცანას – კაპიტალის მოზიდვასა და რისკის დივერსიფიკაციას წყვეტენ.

კორპორაციებში მართვა დეცენტრალიზებულია. ფუნქციურ განყოფილებებს მიცემული აქვთ ფირმის უფლებები. ფაქტობრივად ისინი არიან პასუხისმგებელი კორპორაციის სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე. რაც შეეხება უმაღლეს ხელმძღვანელობას, ისინი პერსპექტიული ხასიათის სტრატეგიული სამუშაოებით არიან დაკავებული. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ კორპორაციებს აქვთ პრეზიდენტის მრჩეველისა და დამოუკიდებელი ექსპერტის საშტატო ადგილები. როგორც წესი, ესენი არიან მეცნიერები, სპეციალისტები, რომლებიც შესანიშნავად ერკვევიან ეკონომიკის, ფინანსების მართვის, კაპიტალდაბანდების და სხვა მსგავს საკითხებში.

ამ ბოლო დროს კორპორაციებში რამდენიმე განყოფილების ბაზაზე იქმნება შტაბები ე. წ. სუპერგანყოფილებები; შტაბების მოვალეობაა კონტროლი გაუწიონ ამ განყოფილებათა მუშაკების ერთობლივი საქმის დროულად და ხარისხიანად შესრულებას და ა.შ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკა ეფუძნება კორპორაციებს, მსოფლიო ეკონომიკა კი – ტრანსნაციონალურ კომპანიებს. საქართველოს ეკონომიკა ჯერ შორსაა ასეთი სტრუქტურებისაგან. მართალია, ქვეყანაში შეიქმნა სააქციო საზოგადოებები, მაგრამ არც მათი მუშაობის მაშტაბი, არც დასაქმებულთა რაოდენობა, არც კავშირურთიერთობები და არც ორგანიზაციული და ადმინისტრაციული მართვის სტრუქტურა ჯერჯერობით ახლოსაც ვერ მივა კორპორაციულ სტრუქტურებთან. ისინი მხოლოდ კორპორაციულ ჩანასახებს წარმოადგენენ.

ჰოლდინგი. სხვა კომპანიების აქციათა საკონტროლო პაკეტის მქონე ორგანიზაციაა, რომლის მიზანი მათი მართვის გაკონტროლებაა. ჰოლდინგი შეიძლება ითქვას, არის

თანამედროვე კორპორაციული სტრუქტურების, კონგლომერატების და ბაზრის სხვა ორგანიზაციული სტრუქტურების ბირთვი.

ჰოლდინგი შექმნება იყოს: წმინდა (ოპერატიული) და შერეული. წმინდა ჰოლდინგები მხოლოდ მმართველ-მაკონტროლებელ ფუნქციებს ასრულებენ, შერეული ჰოლდინგები კი ამასთან ერთად, ეწევიან სავაჭრო, მომსახურებით, საწარმოო და სხვა სახის საქმიანობას.

ამჟამად მსოფლიოში სულ ცოტა სამი სახის ჰოლდინგი ფუნქციონირებს:

1. ინტეგრირებული სამრეწველო კომპანიები;
2. კონგლომერატები;

3. საბანკო ჰოლდინგები, რომელთა თავისებურება ის არის, რომ მათში სახელმწიფო კაპიტალი მონაწილეობს. ბუნებრივ მონოპოლიებში (მაგალითად, გაზის, ელექტროენერჯის და ა.შ.) ასეთი კონტროლი გამართლებულია, თუმცა ამ წესების გაგრძელება სხვა კომპანიებზე არ შეიძლება.

ჰოლდინგის მართვის უმაღლესი ორგანო არის აქციონერთა კრება, ხოლო აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა. გამგეობა შედგება შვილობილ კომპანიათა დირექტორებისაგან. შვილობილ კომპანიათა დირექტორთა საბჭოები ნიშნავს ჰოლდინგის ხელმძღვანელობას.

ჰოლდინგური კომპანიები ახორციელებენ შვილობილ კომპანიებზე საერთო სტრატეგიულ ხელმძღვანელობას, შეიმუშავენ რეკომენდაციებს, ბრძანებებს და დირექტივებს, აქვთ ვეტოს უფლება და ა.შ.

ჰოლდინგის უპირატესობებია:

1. სხვა ფორმებთან (შერწყმა, შეერთება, სხვა ფორმის აქციების შექმნა) შედარებით უფრო მარტივია და იაფი;
2. ჰოლდინგის შექმნისას დედა კომპანია ითვალისწინებს შვილობილი კომპანიების აზრსა და სურვილებს;
3. შვილობილი კომპანიების შექმით ჰოლდინგი გადის (შედის) იმ ბაზრებზე, რომელ ქვეყანაშიც კორპორაციული სტრუქტურების შესვლა შეზღუდულია.

ჰოლდინგური კომპანია საკანონმდებლო წესით ოფიციალურად უნდა დარეგისტრირდეს როგორც იურიდიული პირი.

საკუთრების ნიშნის მიხედვით ჰოლდინგები არის სახელმწიფო, კერძო და შერეული (კერძო-სახემწიფო).

კონცერნი არის მრავალდარგოვანი დამოუკიდებელი გაერთიანება, რომლის საფუძველია კაპიტალის ერთობა, ფინანსური კავშირები, ინტერესთა ერთიანობა და მრავალი სხვა.

კონცერნი ძირითადად არის სამრეწველო პროფილის. მასში შემავალი საწარმოები ნომინალურად დამოუკიდებელი არიან, თუმცა ექვემდებარებიან ერთიან მართვას, ხელმძღვანელობას.

კონცერნის სათავე კომპანია ორგანიზდება ჰოლდინგური კომპანიის სახით.

ინტეგრაციული კავშირების მიხედვით კონცერნი არის ვერტიკალური და ჰორიზონტალური. პირველი აერთიანებს ტექნოლოგიური პროცესით დაკავშირებულ საწარმოებს, მეორე კი – ერთი დარგის ერთი და იმავე პროდუქციის (ან წარმოების სტადიის) მწარმოებელ საწარმოებს.

კონცერნების საქმიანობა ძირითადად რამდენიმე ქვედარგზე ვრცელდება. მხოლოდ მსხვილი კონცერნები აკონტროლებენ მთელ დარგს (მაგალითად, გერმანიაში Siemens-ი მოიცავს მთელ ელექტროტექნიკურ მოწყობილობას). კაპიტალში მონაწილეობის მიხედვით არსებობს ორი სახის კონცერნი:

1. დაქვემდებარებულის ტიპის (დედა კომპანია და შვილობილი კომპანია);
2. კოორდინაციის ტიპის (და-ძმის ან დების ტიპის კომპანიები).

მსხვილი კონცერნები აერთიანებენ 100-ზე მეტ საწარმოს. თუ კონცერნში შედის უცხოური საწარმო, მაშინ იგი საერთაშორისო კონცერნად ითვლება.

„პული“ (ინგლისურად Pool – საერთო ქვაბი) არის კომპანიათა გაერთიანება, რომლის თავისებურება ისაა, რომ მათი მოგება თავს იყრის ერთ ფონდში და შემდეგ წინასწარ დათქმული პროპორციით ნაწილდება. ასევე, ნაწილდება დანახარჯები.

მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია:

საბირჟო პული – ფინანსური სახსრების გაერთიანება საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების კურსის დასაცემად ან ასაწევად;

კონკრეტული პული – სახსრების გაერთიანება კონკრეტული ობიექტისთვის;

პატენტური პული – ორზე მეტი კომპანიის გაერთიანება პატენტის ერთობლივი გამოყენებისთვის;

სავაჭრო პული – რამდენიმე პირის გაერთიანება იმ მიზნით, რომ შეაჩერონ საწვობაში საქონელი მანამ, სანამ არ დადგება მათთვის; ფასის თვალსაზრისით მოხერხებული მომენტი.

სტრატეგიული ალიანსი – ორი ან მეტი კომპანიის გაერთიანება კომერციული მიზნების განსახორციელებლად. ეს არის ხანგრძლივადიანი ალიანსი, რომლის მიზანი სცილდება წმინდა კომერციულ მიზანს, ალიანსი არ არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი. იგი იქმნება გარკვეული ვადით და მიზნის მიღწევითანავე იშლება.

სტრატეგიული ალიანსები იქმნება ბაზრების ასათვისებლად, სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეების დასანერგად, ერთობლივი წარმოების ორგანიზაციისთვის და ა.შ.

კონსორციუმი გაერთიანების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც იქმნება რამდენიმე ფირმის, ბანკის, სამეცნიერო ცენტრის, სახელმწიფოს და ა.შ. შეთანხმებით ერთობლივი საქმიანობის განსახორციელებლად; ასევე, მისი წევრების კონკურენტული პოზიციების გასაძლიერებლად. ამ მეთოდით ხდება საბანკო და სამრეწველო კაპიტალის შერწყმა.

კონსორციუმში შემავალი პარტნიორები მთლიანად ინარჩუნებენ იურიდიულ დამოუკიდებლობას.

კონსორციუმი იქმნება სააქციო საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს) ან სხვა იურიდიული პირის ფორმით. კონსორციუმი შეიძლება იყოს დროებითი და მუდმივი. დროებითი კონსორციუმები იქმნება მოკლევადიან გარიგებათა, ხოლო მუდმივი – ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი მასშტაბის პროექტების განსახორციელებლად.

კონსორციუმებს, როგორც წესი, ხელმძღვანელობს მსხვილი ბანკი ან საბანკო მონოპოლია.

XIX საუკუნის ბოლოს კონსორციუმები ძირითადად იქმნებოდა ბანკებს შორის შეთანხმებების საფუძველზე და ევალეობდათ ფინანსური ოპერაციების შესრულება. XX საუკუნის შუა პერიოდიდან კონსორციუმების საქმიანობა გავრცელდა მრეწველობაზე, მშენებლობაზე და სხვ.

კონსორციუმის მონაწილე შეიძლება იყოს კერძო და სახელმწიფო სტრუქტურა.

კონსორციუმს მართავს ლიდერი, რომელსაც ირჩევენ კონსორციუმის წევრები. იგი შემკვეთებისა და სხვა, მესამე პირების წინაშე წარადგენს კონსორციუმს და იცავს მის ინტერესებს. კონსორციუმის თითოეული წევრი აფინანსებს კონსორციუმის სამუშაოს რაღაც ნაწილს და თავის თავზე იღებს გარკვეულ ვალდებულებებს.

თანამედროვე კონსორციუმისათვის დამახასიათებელია მრავალეროვნული წარმომადგენლობა. ხშირად წარმომადგენლის როლში გვევლინება არა ცალკეული კომპანია, არამედ სახელმწიფოები. ასეთია მაგალითად „ИНТЕЛСАТ“-ი – თანამგზავრული კავშირის საერთაშორისო კონსორციუმი.

კონსორციუმის სახეებია: საბანკო, საფინანსო, საექსპორტო და საგარანტიო. პირველ ორს სათავეში უდგას ბანკი ან საფინანსო ინსტიტუტი, მესამეს საგარეო ვაჭრობის ორგანიზაცია, მეოთხე კი თავის თავზე იღებს მასში შემავალ კომპანიათა რისკების კომპენსაციას.

კონგლომერატი გაჩნდა სხვადასხვა ფირმის შერწყმის შედეგად, განურჩევლად მათი ჰორიზონტალური და ვერტიკალური კავშირებისა.

კონგლომერატული შერწყმის სამი ტიპი არსებობს:

- ფუნქციური;
- ბაზარზე ორიენტირებული;
- წმინდა კონგლომერატული.

კონგლომერატი არის გაერთიანება რომელიც მოგების მაქსიმიზაციაზე არის ორიენტირებული. კონგლომერატები წარმოქმნა XX საუკუნის 60-იან წლებში. თავიდან მათ არავითარი საწარმოო ერთობა არ ჰქონდათ. ეს ერთობა (ტექნოლოგიური, მიზნობრივი) არც ამჟამად არსებობს.

კონგლომერანტის წარმოქმნის ძირითადი ფაქტორი არის სხვადასხვა სამრეწველო და კომერციული ორიენტაციის ფირმების შერწყმა ან შთანთქმა.

ამ პროცესში მათ შორის ერთი გადარჩება, სხვები კი კარგავენ დამოუკიდებლობას. შერწყმის სამი მეთოდია ცნობილი:

1. „ა“ კომპანია ყიდულობს „ბ“ კომპანიის აქციებს და უნაზღაურებს მას ნაღდი ფულით ანდა მისივე გამოშვებული აქციებით;
2. „ა“ კომპანია ყიდულობს „ბ“ კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტს და ხდება ჰოლდინგი;
3. „ა“ კომპანია აქციებს უშვებს სპეციალურად „ბ“ კომპანიის მესაკუთრეებისათვის, რის შედეგადაც „ა“ კომპანია იძენს „ბ“ კომპანიის აქტივებს.

შერწყმა და გაერთიანება ერთი და იგივე არ არის. გაერთიანების დროს ყველა ერთეული კარგავს დამოუკიდებლობას და მათ ადგილზე იხსნება ახალი კომპანია.

კონგლომერატში მართვა მნიშვნელოვნად დეცენტრალიზებულია. ცალკეულ განყოფილებებს აქვთ მნიშვნელოვანი თავისუფლება და ავტონომია, ვიდრე კონცერნების ანალოგიურ განყოფილებებს.

კონგლომერატული შერწყმის დროს ხდება პერსპექტიული ფირმების გაერთიანება. ისინი თავიანთ აქციებს მათთვის სასურველი პირობებით ცვლიან კონგლომერატის აქციებზე. უფრო მეტიც, კონგლომერატი თვითონაც ასტიმულირებს ამ პროცესს ასეთი ფირმებისათვის კრედიტების მიცემით და ა.შ.

კონგლომერატების შექმნა მსოფლიოში მეტად არათანაბრად მიმდინარეობს. აშშ-ში კონგლომერატები იერთებენ მსხვილ კომპანიებსაც კი. ევროპაში ჯერჯერობით ხდება წვრილი, საშუალო და საოჯახო ფირმების შერწყმა.

კარტელი არის ერთი დარგის საწარმოთა გაერთიანება. ამ გაერთიანებაში შესვლით საწარმო არ კარგავს დამოუკიდებლობას. მათ შორის იდება ხელშეკრულება მთელ რიგ ისეთ საკითხებზე, როგორცაა, მაგალითად, სამუშაო ძალის დაქირავების პირობები, პროდუქციის კვოტები, ფასები და ა.შ.

კარტელის მონაწილენი დამოუკიდებლად ყიდვიან პროდუქციას შეთანხმებული ფასით და კვოტით. შეთანხმების დარღვევა ისჯება ჯარიმით.

კარტელები შექმნა XIX საუკუნეში. მრეწველობის კარტელიზაციას დაეხმარა მთავრობათა პროტექციონისტული პოლიტიკა, რაც ითვალისწინებდა საზღვარგარეთული კონკურენციის შეზღუდვას.

კარტელები ორი სახისაა: სახელმწიფო და კერძო. სახელმწიფო კარტელის შექმნას ყოველთვის თან ახლავს იმპორტული კვოტების დაწესება. მისი მიზანია პროტექციონიზმი და დეფიციტური უცხოური ვალუტის განაწილება.

მთელი რიგი ქვეყნები კარტელებს იყენებენ ჩამორჩენილი დარგების დასახმარებლად. ასეთ დარგებს სახელმწიფოს დახმარებით შეუძლიათ შექმნან

დროებითი კარტელი. მათ „დეპრესიული“ კარტელები ეწოდებათ და ისინი დიდ როლს ასრულებენ დარგის აღორძინებაში.

სინდიკატი არის ერთი დარგის კომპანიათა გაერთიანება მხოლოდ პროდუქციის რეალიზაციის და ნედლეულის შესყიდვის სფეროში. სინდიკატში შემავალი საწარმოები ინარჩუნებენ იურიდიულ და საწარმოო დამოუკიდებლობას, მაგრამ კარგავენ კომერციულ დამოუკიდებლობას. სინდიკატის ყველა წევრის პროდუქციის გასაღებაზე ზრუნავს სინდიკატის სარეალიზაციო კანტორა. ამით უზრუნველყოფილია პროდუქციის მონოპოლიურ ფასებში გაყიდვა.

სინდიკატები იქმნება აქციონერული ფორმით. სინდიკატის წევრი არა მარტო საწარმო, არამედ კონცერნი და ტრესტიც შეიძლება იყოს. ამ ბოლო დროს მომრავლდა ასეთი ტრესტებისა და კონცერნების რაოდენობა. ისინი ამ წესით კონკურენციას უწევენ ანალოგიური პროდუქციის მწარმოებელ ფირმებს.

სინდიკატი უფრო მეტად გავრცელებული იყო XX საუკუნის დასაწყისში. შემდეგ მათ ადგილი დაუთმეს უფრო რთულ და მოქნილ გაერთიანებებს; კერძოდ, კონგლომერატებს, კორპორაციებს და კონცერნებს.

ტრესტი ესაა ერთი ან რამდენიმე დარგის საწარმოთა მართვა და საკუთრების გაერთიანება. ტრესტში შესვლით ისინი კარგავენ როგორც საწარმოო, ისე კომერციულ დამოუკიდებლობას. ტრესტები იქმნება აქციონერული ფორმით. ტრესტში შესული საწარმო ხდება აქციონერი და ექვემდებარება ტრესტიდან ერთიან მართვას.

ტრესტს სათავეში უდგას გამგეობა, რომელიც ხელმძღვანელობს ტრესტის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა, ფინანსებს, პროდუქციის წარმოება-გასაღებას და ა.შ. ტრესტში შემავალი საწარმოები იღებენ თავიანთი კაპიტალის წილის შესაბამისი აქციების პაკეტს და მონაწილეობენ ტრესტის საქმიანობასა და მოგების განაწილებაში. ტრესტის მონაწილეთა მოგება საკმაოდ მაღალია. ამას განაპირობებს ტრესტის მაღალი კონკურენტუნარიანობა.

ტრესტები შეიქმნა XIX საუკუნეში და გავრცელებული იყო XX საუკუნის შუა პერიოდამდე. მათი მონოპოლიური მდგომარეობის შეზღუდვის მიზნით დასავლეთის ინდუსტრიულმა ქვეყნებმა მიიღეს ანტიტრესტული კანონები. შედეგად მონოპოლიის ფორმები შეიცვალა. მათ ნაცვლად გაჩნდა კონცერნები და კონგლომერატები. მალე ტრესტებმა თავიანთი მნიშვნელობა დაკარგა.

საფინანსო-სამრეწველო ჯგუფი წარმოადგენს საწარმოთა, საფინანსო-საკრედიტო და ინვესტიციური ინსტიტუტების, აგრეთვე სხვა ორგანიზაციების კაპიტალის შეერთებით წარმოქმნილ დივერსიფიცირებულ მრავალფუნქციურ სტრუქტურას. საფინანსო-სამრეწველო ჯგუფის წარმოქმნა არის თანამედროვე მსხვილი წარმოების ფორმირების ერთ-ერთი პერსპექტიული გზა.

საფინანსო-სამრეწველო ჯგუფის შექმნა ხდება რამდენიმე მეთოდით. ესენია:

- ა) მონაწილეთა ინიციატივა;
- ბ) მთავრობათაშორისი შეთანხმება;
- გ) სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილება.

საფინანსო-სამრეწველო ჯგუფის ფორმირების ტენდენცია ასახავს მსოფლიო წარმოების განვითარების ტენდენციას და ატარებს უნივერსალურ ხასიათს. ამ კანონზომიერებებს მიეკუთვნება: კაპიტალის კონცენტრაცია, სამრეწველო და საფინანსო კაპიტალის ინტეგრაცია; საქმიანობის მიმართულებისა და ფორმების დივერსიფიკაცია; საქმიანობის გლობალიზაცია და კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია.

საფინანსო-სამრეწველო ჯგუფის ორგანიზაციის პრინციპი არის როგორც ჰორიზონტალური (მრავალპროფილურ წარმოებათა გაერთიანება), ისე ვერტიკალური (ტექნოლოგიური ჯაჭვით გაერთიანება). საფინანსო-სამრეწველო ჯგუფის შექმნა გულისხმობს სამი სტრუქტურის – საფინანსო (ბანკი, სადაზღვევო კომპანია, საპენსიო ფონდი, კონსალტინგური ფირმა, საბროკერო კანტორა, საინფორმაციო სარეკლამო კანტორა), სამრეწველო (საწარმოები) და კომერციულ (სასაქონლო-სანედლეულო ბირჟა, სადაზღვევო, სატრანსპორტო და სერვისის ფირმები, საგარეო ვაჭრობის კანტორა) გაერთიანებებს.

ამ პრინციპით გაერთიანებულ ქვეყნებში საფინანსო-სამრეწველო ჯგუფის ცენტრი არის ბანკი, რადგანაც ბანკი კარგადაა ინფორმირებული ყველა საწარმოს ფინანსების შესახებ და საჭირო შემთხვევაში ოპერატიულად შეუძლია დაბლოკოს მათი ანგარიში.

ტრანსნაციონალური კომპანიები კორპორაციათა განსაკუთრებული სახეა, რომელიც სცილდება ეროვნულ ჩარჩოებს და თავისი შვილობილი და შვილიშვილი კომპანიების მეშვეობით საქმიანობს მსოფლიო ბაზარზე. ეს კომპანიები გამოირჩევა კაპიტალის და კონტროლის, ეროვნულობით და საერთაშორისო საქმიანობით. საზღვარგარეთული საწარმოების გახსნა ხორციელდება ეროვნული კორპორაციების მიერ კაპიტალის გატანით. ტრანსნაციონალური კომპანიების გახსნა და მათი გაფართოება სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებაზე მიუთითებს.

პირველი ტრანსნაციონალური კომპანიები აღმოცენდნენ XIX საუკუნის ბოლოს. XX საუკუნეში მათ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს.

შვილობილი კომპანიების ტერიტორიული გაფანტულობის მიუხედავად, ტრანსნაციონალურ კომპანიას აქვს სათავო ოფისი და მისი მისამართი ითვლება იურიდიულ მისამართად. სათავო ოფისს უფლება აქვს ცენტრალიზებული წესით მართოს მთელი კომპანია. თუმცა, ამ ბოლო დროს ტრანსნაციონალურ კომპანიებში დაიწყო სათავო ოფისიდან ზოგიერთი, კერძოდ, ოპერატიული ფუნქციების გადაცემა ფილიალებზე, ე.ი. დეცენტრალიზაცია. დეცენტრალიზებულ კომპანიებში ძირითადი სამეურნეო ერთეულები არის ე.წ. „მოგების ცენტრები“. მთელ რიგ შემთხვევებში

ხორციელდება მათთვის სტრუქტურის დაყოფა სტრატეგიულ სამეურნეო ცენტრებად, რომლებიც ახორციელებენ სტრატეგიულ დაგეგმვას.

ყოველივე ამის მიუხედავად, ტრანსნაციონალური კომპანიების უმრავლესობას აქვს მკვეთრად გამოხატული მართვის ვერტიკალური სტრუქტურა, მკაცრი იერარქიული დაქვემდებარებით და უფლებათა დელეგირებით მართვის მაღალი რგოლიდან ქვემდგომი რგოლის ჩათვლით.

მსოფლიო ეკონომიკური ლიტერატურა ერთმანეთისგან განანსხვავებს მრავალეროვნულ, გლობალურ, საერთაშორისო და საკუთრივ ტრანსნაციონალურ კომპანიებს. მრავალეროვნული კომპანია ცენტრალიზებულად საზღვრავს საფინანსო პოლიტიკას; გლობალური – სტრატეგიულს, მმართველობითს და მარკეტინგულს; საერთაშორისო – მარკეტინგულს, მარგამ არა იმ დოზით და ხარისხით, როგორც გლობალური კომპანია. ტრანსნაციონალურ კომპანიას აქვს სამივე კომპანიის თვისებები.

მოთხოვნები, რომელიც წაყენება ტრანსნაციონალურ კომპანიას მასში გასაერთიანებელი პოტენციურ საწარმოსაგან, არის შემდეგი:

- კაპიტალი დააბანდოს ადგილობრივ დარგებში;
- ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ერთობლივ პროექტებში;
- ხელმძღვანელ პირებად დაინიშნონ ადგილობრივი მუშაკები;
- გადასცეს ტექნოლოგიები;
- ხელი შეუწყოს ადგილობრივი ბაზრების განვითარებას;
- უზრუნველყოს მოსახლეობის განათლება და დასაქმება.

საერთაშორისო ერთობლივი საწარმოები. ასეთ საწარმოდ ითვლება საერთაშორისო ფირმა, რომელიც იქმნება ორი ან მეტი მონაწილის კაპიტალით. სავალდებულოა, რომ მათ შორის ერთი მაინც იყოს უცხოელი ინვესტორი.

ერთობლივი საწარმოების გახსნა განსაკუთრებით გააქტიურდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ჯერ აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში და შემდეგ პოსტსაბჭოურ სივრცეში.

ერთობლივი საწარმოების მეშვეობით ხორციელდება განვითარებული ქვეყნებიდან ახალი ტექნოლოგიებისა და მართვის ახალი მეთოდების გადმოტანა.

ერთობლივი საწარმოები იხსნება სხვადასხვა იურიდიული ფორმით (სააქციო, შპს, სპს, და ა.შ.). ამის მიუხედავად, თითქმის ყველა ქვეყანაში მათ საქმიანობას სპეციალური კანონმდებლობა არეგულირებს.

ერთობლივ საწარმოებში მართვა, მოგების განაწილება და სხვა საქმიანობა ხორციელდება პარიტეტულ პრინციპებზე. ერთობლივ საწარმოს დაფუძნებაში ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს სხვადასხვა ინტერესები აქვთ. ადგილობრივი ინვესტორი უნდა გაეცნოს უცხოურ გამოცდილებას, მოიზიდოს უცხოური კაპიტალი და

ტექნოლოგიები, გავიდეს საზღვარგარეთის ბაზარზე, გადაანაწილოს რისკი და ა.შ. უცხოელი ინვესტორის ინტერესებში კი შედის: ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის რეალიზაცია, ადგილობრივი იაფი რესურსებით წარმოების უზრუნველყოფა და სხვ.

ერთობლივი საწარმოს ფუნქციონირების ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს პოლიტიკური ფაქტორები, კულტურა, ეკონომიკური ფაქტორები (მაგალითად, საგადასახადო პოლიტიკა), წარმოების პირობები და სხვა მრავალი.

ოფშორული კომპანიები დარეგისტრირებულია იმ ტერიტორიებზე, სადაც არ არის საჭირო ამ ტერიტორიის გარეთ მიღებული მოგებიდან გადასახადის გადახდა. დამფუძნებლებს შეუძლიათ შექმნან მთლიანად ორგანიზაცია ან მისი ნაწილი შეღავათიანი გადასახადების ზონებში. ეს ზონები თავისუფალი ეკონომიკური ზონების ნაირსახეობაა.

თავისუფალი ეკონომიკური ზონები არის სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი, სადაც მოქმედებს საქონლის შეტანა-გატანის უბაჟო ანუ შეღავათიანი რეჟიმი. თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის მიზნებია:

- სამუშაო ძალის მაქსიმალური დატვირთულობის უზრუნველყოფა, ინვესტიციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების მოზიდვა;
- ახალი საექსპორტო საქონლის წარმოების ორგანიზება;
- თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში ტექნიკისა და ეკონომიკის მოღერნიზება;
- ადგილობრივი პერსონალის მიერ მუშაობის თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების შესწავლა.

საერთაშორისო პრაქტიკაში თავისუფალი ეკონომიკური ზონების რეალიზაციის შემდეგი ვარიანტები განიხილება:

- საგარეო სავაჭრო ზონები, საბაჟო ზონები და პორტები, სატრანზიტო ზონები, საექსპორტო-სამრეწველო ზონები;
- სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკები, ტექნოპოლისები.

არსებობს ფიზიკური და იურიდიული პირების შემოსავლების დაბეგვრის ორი სახე:

- ქვეყნების უმრავლესობისათვის – ეს არის მხოლოდ ქვეყნის შიგნით მიღებული შემოსავლების დაბეგვრა;
- მოქალაქეობის (რეზიდენტობის) საფუძველზე მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებში მიღებული შემოსავლების დაბეგვრა.

კომპანია ითვლება რეზიდენტად იქ, სადაც მას დარეგისტრირებული აქვს ოფისი და იმართება ადგილობრივი დირექტორების მიერ, თუმცა მიეკუთვნება მესაკუთრე-არარეზიდენტებს.

ოფშორული კომპანიების შექმნისას აუცილებელია ქვეყნის კანონებისა და ფირმის რეგისტრაციის წესების ცოდნა. ოფშორული ტერიტორიების უმრავლესობა ბრიტანული თანამეგობრობის წევრი იყო ან არის. ამ ტერიტორიების კანონმდებლობა ბევრ რამეში სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ბრიტანული მოდელის კოპირებას აკეთებს. ამ მოდელის მისეღვით არეგისტრირებენ შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ორგანიზაციებს:

- დახურული სააქციო საზოგადოებები (შეზღუდული პასუხისმგებლობით);
- ღია სააქციო საზოგადოებები (შეზღუდული პასუხისმგებლობით);
- სრული ამხანაგობები (შეუზღუდავი პასუხისმგებლობით).

ოფშორული კომპანიების რეგისტრაციისათვის აუცილებელია:

- წესდებისა და თუ საჭიროა სადამფუძნებლო ხელშეკრულების წარმოდგენა;
- სარეგისტრაციო და გერბის გადასახადის ქვითარი;
- სარეგისტრაციო მოწმობა იურიდიულ პირებზე – დამფუძნებლებზე და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა დამფუძნებლებისათვის – ფიზიკური პირებისათვის.

ოფშორული კომპანიები შეიძლება იყოს საინვესტიციო, კოლდინგური, სავაჭრო, სადაზღვევო, ოფშორული ბანკები და სხვა. ოფშორული კომპანიებისათვის გათვალისწინებულია ნებაყოფლობითი და იძულებითი ლიკვიდაციის ზომები.

6.4. ფირმების ფუნქციონალური დანიშნულების კირითაღი ტიპები

1. ფაქტორინგული ფირმები;
2. ინჟინირინგული ფირმები;
3. ლიზინგური ფირმები.

ფაქტორინგი – ეს არის მიმწოდებლისაგან საქონლის (მომსახურების) ფინანსური დავალიანების გამოსყიდვა. ამასთან, როგორც წესი, ლაპარაკია მოკლევადიან მოთხოვნებზე. ფაქტორინგის მიზანია იმ რისკის აცილება, რომელიც ნებისმიერი საკრედიტო ოპერაციის განუყოფელი ნაწილია. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სერიოზული ყურადღება ექცევა გადასახდელების ვადების დაცვას. ფაქტორინგული კომპანიებისა და ბანკების ფაქტორინგული განყოფილებების საქმიანობა აგვარებს ზუსტად ამ რისკებისა და მიმწოდებლებსა და მყიდველებს შორის გადასახდელების ვადების პრობლემებს და ამყარებს ამ ურთიერთობებს.

სიტყვა „ფაქტორი“ ინგლისურიდანაა და ნიშნავს შუამავალს, მაკლერს. ეკონომიკური თვალსაზრისით ეს არის საშუამავლო ოპერაცია. ფაქტორინგი არის საკომისიო-საშუამავლო საქმიანობა, რომელიც უკავშირდება კლიენტი-მიმწოდებლის მიერ მიწოდებულ საქონელზე, შესრულებულ სამუშაოზე, გაწეულ მომსახურებაზე ბანკისათვის დაუფარავი დავალიანების დათმობას და შესაბამისად მათი გადახდის უფლებას, ანუ კლიენტის დებიტორული დავალიანების ინკასირება. ბანკი ხდება დაუფარავი დავალიანების მესაკუთრე და თავის თავზე იღებს მათი გადაუხდელობის რისკს, მაგრამ მოვალეთა კრედიტუნარიანობა წინასწარ მოწმდება.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში ფაქტორინგის ქვეშ იგულისხმება დაფინანსების ხელშეკრულება ფულადი დავალიანების დათმობის ნაცვლად. ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე (ფინანსური აგენტი) გადასცემს, ან გადაცემის ვალდებულებას იღებს, მეორე მხარეს (კლიენტს) ფულად სახსრებს კლიენტის (კრედიტორის) მესამე პირისადმი (მოვალე) ფულადი დავალიანების სანაცვლოდ, რაც მდგომარეობს კლიენტის მიერ საქონლის მიწოდებაში, მის მიერ სამუშაოს შესრულებასა ან მესამე პირისათვის მომსახურების გაწევაში, ხოლო კლიენტი უთმობს (ან დათმობის ვალდებულებას იღებს) ფინანსურ აგენტს ამ ფულად დავალიანებას. ფულადი დავალიანება მოვალისადმი კლიენტმა ფინანსურ აგენტს შეიძლება დაუთმოს აგრეთვე კლიენტის მიერ ფინანსური აგენტის მიმართ ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. ფულადი დავალიანების დათმობის სანაცვლოდ დაფინანსების ხელშეკრულების მიხედვით ფინანსური აგენტის ვალდებულებებში შეიძლება შედიოდეს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება კლიენტისათვის, აგრეთვე კლიენტისათვის სხვა ფინანსური მომსახურების გაწევა ფულად დავალიანებასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს დათმობის საგანს. ფინანსური აგენტის სახით დაფინანსების ხელშეკრულება ფულადი დავალიანების დათმობის სანაცვლოდ შეიძლება დადოს ბანკმა ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციამ, აგრეთვე, კომერციულმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც გააჩნიათ ასეთი სახის საქმიანობის განხორციელების ნებართვა (ლიცენზია).

დათმობის საგანი შეიძლება იყოს როგორც ფულადი დავალიანება, რომლის გადახდის ვადა უკვე დამდგარია (არსებული დავალიანება), ასევე ფულადი სახსრების მიღების ის უფლება, რომელიც მომავალში შეიქმნება (მომავალი დავალიანება). ფულადი დავალიანება, რომელიც დათმობის საგანს წარმოადგენს, კლიენტისა და ფინანსური აგენტის ხელშეკრულებაში ისე უნდა განისაზღვროს, რომ არსებობდეს არსებული დავალიანების იდენტიფიცირების საშუალება ხელშეკრულების დადების მომენტში, ხოლო მომავალი დავალიანებისა – არაუგვიანეს მისი წარმოქმნის მომენტში.

ასეთი სახის ხელშეკრულება ფართოდაა გავრცელებული საერთაშორისო პრაქტიკაში „ფაქტორინგის“ სახელწოდებით. ხელშეკრულების მიხედვით ბანკი იღებს ფინანსური დავალიანების გადახდის ვალდებულებას იმის მიუხედავად, გადაიხადეს თუ არა თავიანთი ვალები კონტრაგენტ-მიმწოდებლებმა. ამაში მდგომარეობს ფაქტორინგსა და საბანკო გარანტიებს შორის განსხვავება. საბანკო გარანტიისას ბანკი იღებს კლიენტის მიერ ვალის ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში ვალდებულებას დაფაროს ეს დავალიანება. ფაქტორინგული მიმსახურების მიზანს კი წარმოადგენს სახსრების დაუყოვნებელი ინკასირება (ან ფაქტორინგულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ვადაში მათი მიღება) გადამხდელის გადახდისუნარიანობის გათვალისწინების გარეშე. (რუსეთში მიმწოდებელი ბანკის ფაქტორინგული განყოფილებიდან დაუყოვნებლივ ან 2-3 დღის შემდეგ იღებს განსაზღვრულ პროცენტს დავალიანებიდან).

არსებობს ფაქტორინგის ორი სახე: კონვენციური და კონფიდენციალური. კონვენციური ფაქტორინგი კლიენტის ფინანსური მომსახურების უნივერსალური სისტემაა, რომელშიც შედის ბუღალტრული აღრიცხვა, მიმწოდებლებთან და მყიდველებთან ანგარიშსწორება, სადაზღვევო დაკრედიტება და ა.შ. კლიენტს რჩება მხოლოდ საწარმოო ფუნქცია. ეს სისტემა საწარმოს დანახარჯების შემცირებაში ეხმარება. მაგრამ ამავდროულად ჩნდება კლიენტის ფაქტორინგულ ფირმაზე თითქმის მთლიანად დამოკიდებულების რისკი, რადგანაც ასეთი ურთიერთობები იწვევს კლიენტების საქმეების შესახებ მთლიან ინფორმირებულობას, მათ დაქვემდებარებასა და კონტროლს ფირმის მიერ.

ასეთი მომსახურება ჩვეულებრივ ერწმის ფაქტურის დისკონტირებას. ეს იწინავს, რომ ბანკი თავისი კლიენტისაგან ყიდულობს მყიდველისაგან ფულის მიღების უფლებას, ამასთან მის ანგარიშზე დაუყოვნებლივ რიცხავს **გადატვირთული საქონლის** ღირებულების 80%-ს, ხოლო დანარჩენ თანხას – დათქმულ ვადაში დებიტორის მხრიდან ფულის მიღება – არმიღების მიუხედავად. თავისი არსით, ეს არის კრედიტი გადატვირთულ საქონელზე, რომელზეც კლიენტი იხდის დათქმულ პროცენტს.

ბოლო წლების განმავლობაში ფართო გავრცელება ჰპოვა კონფიდენციალურმა ფაქტორინგმა, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ რამდენიმე ოპერაციის ჩატარებით: ფულის მიღების უფლების დათმობა, ვალების გადახდა და ა.შ. ის არის მომწოდებელი-კლიენტისათვის ფაქტორინგის – კრედიტი გადატვირთულ საქონელზე – მინიჭების ფორმა, ხოლო მყიდველი-კლიენტისათვის – საგადასახდელო კრედიტისა. ფაქტორინგული ოპერაციების ჩატარებისათვის კლიენტები იხდიან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გადასახადს, რომელიც თავისი ეკონომიკური არსით წარმოადგენს კრედიტის პროცენტს.

საფინანსო ინსტიტუტებს, რომლებიც ახორციელებენ ფაქტორინგულ მომსახურებას, უწოდებენ ფაქტორ ფირმებს. ხშირად ისინი მსხვილი ბანკების შვილობილი ფირმები არიან (ან თვითონ ბანკები (ფაქტორინგული განყოფილებები) ახორციელებენ ფაქტორინგულ ოპერაციებს), რაც უზრუნველყოფს ფაქტორინგული გარიგებების მაღალ საიმედოობას და კლიენტის მინიმალურ დანახარჯებს.

ინჟინირინგის, როგორც კომერციული ოპერაციის დამოუკიდებელი სახეობის ქვეშიგულისხმება საინჟინირინგო ხელშეკრულების საფუძველზე ერთი მხარის (კონსულტანტი) მიერ მეორე მხარისათვის (დამკვეთი) საინჟინრო-ტექნიკური მომსახურების ცალკეული სახეობის მიწოდება, რაც უკავშირდება დაპროექტებას, მშენებლობასა და ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლას, დამკვეთის საწარმოებში ახალი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებას, არსებული საწარმოო პროცესების გაუმჯობესებას საქონლის წარმოებასა და გასაღებად კი.

ინჟინირინგი არის საინჟინირინგო ხელშეკრულების საფუძველზე ახალი ობიექტის მშენებლობისათვის მომსახურებისა და მიწოდების სრული კომპლექსის უზრუნველყოფა. მასში შედის საინჟინრო-ტექნოლოგიური მომსახურების სამი ცალკეული სახეობა, რომელთაგან თითოეული შეიძლება გახდეს დამოუკიდებელი ხელშეკრულების საგანი.

საკონსულტაციო ინჟინირინგი ძირითადად დაკავშირებულია ინტელექტუალურ მომსახურებასთან ობიექტების დაპროექტების, მშენებლობის გეგმების შემუშავებითა და სამუშაოს ჩატარებაზე კონტროლის დაწესების მიზნით.

ტექნოლოგიური ინჟინირინგი მდგომარეობს დამკვეთისათვის იმ აუცილებელი ტექნოლოგიისა ან ტექნოლოგიების მიწოდებაში, რომლებიც საჭიროა სამრეწველო ობიექტის მშენებლობასა და მისი ექსპლუატაციისათვის (საწარმოო გამოცდილებისა და ცოდნის გადაცემის ხელშეკრულება), ენერგომომარაგების, წყლით მომარაგების, სატრანსპორტო პროექტების შემუშავებისათვის.

სამშენებლო და (ან) საერთო ინჟინირინგი – ეს არის მოწყობილობების, ტექნიკის მიწოდება და (ან) დანადგარების მონტაჟი აუცილებლობის შემთხვევაში საინჟინრო სამუშაოების ჩათვლით.

საინჟინრო-კონსულტაციური მომსახურების მიწოდება ხდება ტექნიკური დოკუმენტაციის, კვლევების შედეგების, მშენებლობისათვის საწყისი მონაცემების, ეკონომიკური გაანგარიშების, სმეტების, რეკომენდაციებისა და ა.შ. სახით. 1982 წელს მიღებულ იქნა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ვაჭრობის განვითარების კომიტეტის სამრეწველო პროდუქციის მიწოდების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების ექსპერტების ჯგუფის მიერ შემუშავებული საკონსულტაციო ინჟინირინგის საერთაშორისო ხელშეკრულებების შედგენაზე ხელმძღვანელობა ამასთან

დაკავშირებული ტექნიკური დახმარების ასპექტების ჩათვლით. ხელმძღვანელობა შეიცავს კონსულტანტსა და დამკვეთს შორის არსებულ ხელშეკრულებაში შემავალი აუცილებელი პირობების ჩამონათვალსა და დახასიათებებს, აგრეთვე ინჟინერ-კონსულტანტის მიერ გაწეული მომსახურების ჩამონათვალს.

საკონსულტაციო მომსახურება უშუალოდ დაკავშირებულია მართვასთან, სამრეწველო პროექტის რეალიზაციის მიზნით, მაგრამ არ მოიცავს სამშენებლო სამუშაოებს, ლიცენზიების გაცემასა ან ტექნოლოგიების გადაცემას.

თვითონ ობიექტების მშენებლობა არ შედის საინჟინრო-ტექნიკური მომსახურების სფეროში. იგი მიეკუთვნება საწარმო-ტექნიკურ თანამშრომლობას და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ შემუშავებული შესაბამისი სახელმძღვანელოებად რეგულირდება: სახელმძღვანელო სამრეწველო თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების შედგენაზე, სახელმძღვანელო სამრეწველო ობიექტების აშენების შესახებ ხელშეკრულებების შედგენაზე და სხვა.

ხელშეკრულებები საკონსულტაციო ინჟინირინგზე შეიძლება ეხებოდეს მთელი სფეროს მომსახურებას ან კონკრეტულად განსაზღვრულ მომსახურებას, რაც მკაფიოდ უნდა იყოს ფორმულირებული ხელშეკრულებაში ან ხელშეკრულების დანართში. ასეთ ხელშეკრულებებს შეიძლება დაემატოს მხარეების ვალდებულებები ერთობლივი სამეცნიერო კვლევების ჩატარებასთან, გამოცდილი წარმოების ორგანიზაციასთან, ერთობლივი ტექნიკური დახმარებისას მარკეტინგთან, კადრების მომზადებასთან დაკავშირებით.

საკონსულტაციო ინჟინირინგი შეიძლება მოიცავდეს რაიმე პროექტის ყველა ეტაპს ან შეიძლება შემოიფარგლოს ერთი ეტაპით, მაგალითად, წინასაინვესტიციოთი. ამასთან ტერმინით „პროექტი“ აღინიშნება საერთო იდეა სამუშაოს შესახებ, რომელიც ხელშეკრულებაში დაკონკრეტებული უნდა იყოს. საკონსულტაციო ინჟინირინგის ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავენ პროექტის ნაწილს, ერთი ეტაპის წარმატებით დასრულების შემდეგ შეიძლება დაიდოს შემდგომ ეტაპებზეც. ეტაპების სახით შეიძლება განიხილებოდეს: პროექტის დაგეგმვა; პროექტის ხელმძღვანელობა; პროექტის შემუშავებისას მომსახურების უზრუნველყოფა; მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება; მშენებლობის ხელმძღვანელობა; ობიექტის ექსპლუატაციაში შეყვანა; დახმარება დაფინანსების ორგანიზაციისას და ა.შ.

„გასადების ქვეშ“ ობიექტების მშენებლობისას კონსულტანტები შემდეგ ფუნქციებს ასრულებენ: ეხმარებიან დამკვეთებს კონსულტაციების ჩატარების გზით მათი საბოლოო მოთხოვნების მკაფიოდ განსაზღვრისათვის, აგრეთვე იმ ფირმების მიერ წარმოდგენილი წინადადებების შესაფასებლად, რომლებიც აპირებენ ობიექტის აშენებას

„გასაღების ქვეშ“; „გასაღების ქვეშ“ სამშენებლო ფორმის სუბმენარდის სახით იღებენ მონაწილეობას და უწევენ მას კონსულტაციებს; „გასაღების ქვეშ“ ობიექტების მშენებლობაში მონაწილეობენ კონსორციუმის წევრის სახით და თან არიან პასუხისმგებელი კონსულტანტები მის ყველა ეტაპზე.

საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევას თან ახლავს ტექნიკური დახმარება, კერძოდ ტქნოლოგიების ფაქტობრივი გადაცემა, გამოყენება, ექსპლუატაცია, შესაბამისი ობიექტის რემონტი.

ლიზინგი არის იჯარის გრძელვადიანი ხელშეკრულების ფორმა. სალიზინგო ხელშეკრულება ხასიათდება საიჯარო ქონების გამოყენების გარკვეული პირობებით. ეს არის რაღაც საშუალო საიჯარო ხელშეკრულებასა და კრედიტის გამოყოფის ხელშეკრულებას შორის; მას გააჩნია ორივეს ნიშნები. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოიჯარეს შეუძლია:

- დაუბრუნოს იჯარის ობიექტი მოიჯარეს;
- დადოს ახალი ხელშეკრულება მოცემული ქონების იჯარაზე;
- ლიზინგის ობიექტის გამოსყიდვა ნარჩენი ღირებულებით.

ლიზინგი განიხილება როგორც დაფინანსების ეფექტიანი საშუალება, რომელიც ხელსაყრელია საწარმოსათვის, როდესაც მას არ გააჩნია წარმოების ალტერნატივისათვის საჭირო სახსრები.

ლიზინგგამცემი ფიზიკური ან იურიდიული პირია, რომელიც მოზიდული ან საკუთარი ფულადი სახსრების ხარჯზე სალიზინგო გარიგების რეალიზაციის მიმდინარეობისას იძენს ქონებას და ლიზინგმიმღებს სთავაზობს მას სალიზინგო საგნის სახით გარკვეულ თანხად, გარკვეული ვადითა და გარკვეული პირობებით დროებით მფლობელობასა და მოხმარებაში ლიზინგმიმღებისათვის სალიზინგო საგანზე საკუთრების უფლების გადაცემით და/ან არ გადაცემით.

დღეისათვის გამოიყენება ლიზინგის სამი ძირითადი სახე – ფინანსური, ოპერატიული და **შებრუნებული**.

ფინანსური ლიზინგისას ლიზინგგამცემი ამზადებს ან იძენს საკუთრებაში ლიზინგმიმღების მიერ მითითებულ მოწყობილობებს და გარკვეული საფასურის ნაცვლად გადასცემს მას მფლობელობასა და მოხმარებაში. ამასთან, ქონების ლიზინგით გადაცემის ვადა ხშირად ემთხვევა მისი მთლიანი ამორტიზაციის ვადას. ლიზინგმიმღების საკუთრებაში ქონება შეიძლება გადავიდეს როგორც ლიზინგის ვადის დამთავრების შემდეგ, ასევე უფრო ადრე, მის მიერ გამოსასყიდი თანხის გადახდის შემდეგ.

ოპერატიული ლიზინგის დროს ქონების მოხმარების ვადა გაცილებით მოკლეა მის ამორტიზაციის ვადასთან შედარებით. ეს კი იჯარის გამცემს ქონების ლიზინგით მრავალჯერ გაცემის საშუალებას აძლევს. ამასთან მოიჯარეებსაც აქვთ ხშირად უფლება ვადამდე დააბრუნონ ლიზინგით გაცემული ქონება და ამით მათ წარმოებაში ყველაზე თანამედროვე მოწყობილობების მუდმივად გამოყენების საშუალება ეძლევათ.

შებრუნებული ლიზინგის დროს ქონების მესაკუთრე თავიდანვე მომავალი ლიზინგმიმღებია. ზუსტადაც იგი ყიდის მას ლიზინგგამცემზე, ხოლო შემდეგომ დებს მასთან ხელშეკრულებას ამ საქონლის იჯარაზე. ლიზინგის ასეთი სქემა შეიძლება ძალიან გავრცელებული გახდეს რუსეთის პირობებში, რადგანაც საწარმოებს ეხმარება შებრუნებული სახსრების მიღებაში.

ამგვარად, შეიძლება გამოიყოს ლიზინგის შემდეგი მიმზიდველი მხარეები:

– ფინანსური ლიზინგი ითვალისწინებს მცირე საწარმოებისათვის მოწყობილობების მიწოდებას, და არა სახსრებისა, მათ შესაძენად. ასე რომ, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ დახარჯული თანხები გამოყენებული იქნება დანიშნულებისამებრ;

– ლიზინგის გამოყენება ფინანსური სახსრების დაკარგვის რისკის მკვეთრად შემცირების საშუალებას იძლევა. მიღებული ნორმატიული აქტების შესაბამისად ლიზინგით შესაძენი მოწყობილობის მესაკუთრედ სალიზინგო კომპანია ან ლიზინგგამცემი ითვლება, რომელიც მოვალის კრახის შემთხვევაში თავის საკუთრებას უკან იღებს, თუმცა გარკვეული გაცვეთილობით;

– ლიზინგის გამოყენება მოწყობილობის მომხმარებელს სალიზინგო გადასახდელების გრაფიკის მოქნილად ვარირების საშუალებას აძლევს. ამით გამოთავისუფლებული კაპიტალის ნაწილი იხარჯება შებრუნებულ მიზნებზე, ხოლო მოწყობილობის მთლიანი შესყიდვისას ეს ფული ძირითად კაპიტალთან იქნებოდა დაკავშირებული.


6.6. ორგანიზაციული საქმიანობის სუბიექტები და ობიექტები

მეთოდების, პრინციპების, წესებისა და ხერხების ერთობლიობას, რომელსაც იყენებენ სუბიექტები ორგანიზაციული ამოცანების გადასაჭრელად, ეწოდება საორგანიზაციო საქმიანობა.

მართვის ობიექტები და სუბიექტები განისაზღვრება მართვის ქმედებასთან დამოკიდებულების მიხედვით. სუბიექტი – ეს არის მართვითი ზემოქმედების წყარო,

ხოლო ობიექტი – მართვითი ზემოქმედების (ფუნქციათა ან ამოცანათა ნაკრების) მიმღები და შემსრულებელი. ანალოგიურად არის ორგანიზაციის თეორიაში. ორგანიზაციული საქმიანობის სუბიექტი წარმოადგენს ამ საქმიანობის ფუნქციის მიხედვით დაქვემდებარებულებზე ზემოქმედების წყაროს.

როგორც ცნობილია, ფუნქცია „ორგანიზაცია“ მიეკუთვნება მართვის საერთო ფუნქციებს და შედის მასში. ამას გარდა, შრომატევადობის დიდი მოცულობის პირობებში „ორგანიზაციის“ ფუნქცია შეიძლება დაიყოს მთელ რიგ ქვეფუნქციებად (ნახ. 6.1).




ნახ. 6.1. ფუნქციათა ურთიერთდამოკიდებულების სქემა.

ორგან (ოს – ორგანიზატორული საქმიანობა) სს: იღებს გადაწყვეტილებას, აშტკიცებს, ორგანიზაციას უკეთებს სამუშაოთა შესრულებას. ორგანიზატორული საქმიანობის ობიექტი დავალებული ფუნქციების ფარგლებში ასრულებს პროცედურებს – გადაწყვეტილების მომზადება და გადაწყვეტილების შეთანხმება. პროცედურის ოპერაციებს მიეკუთვნება: დავალების მიღება, ინფორმაციული სამუშაოს შესრულება, თათბირის ჩატარება, შემკვეთისათვის შესრულებული სამუშაოს ჩაბარება და სხვ.

ორგანიზატორული საქმიანობის სუბიექტი და ობიექტი პირობითი ცნებებია და არა აბსოლუტური (იხ. ნახ. 6.2).

კომპანიაში ორგანიზაციული საქმიანობის სუბიექტებია: ფირმის დირექტორი, დირექტორის მოადგილეები, საამქროების უფროსები. ორგანიზაციული საქმიანობის

ობიექტებს კი ფირმაში წარმოადგენენ მისი მუშაკები ყველა ერთად და თითოეული ცალ-ცალკე.



ნახ. 6.2. მართვის სუბიექტების ორგანიზატორული საქმიანობის ძირითადი შემადგენლები

კომპანიაში სუბიექტის საქმიანობას და უფლებამოსილებებს არეგულირებს თანამდებობრივი ინსტრუქციები და დებულებები. ამ დებულებებიდან მოკლედ წარმოვადგენთ ზოგიერთი სუბიექტის უფლებამოვალეობებს. კერძოდ, კომპანიის დირექტორის მოვალეობებია:

1. კომპანიის მართვის აპარატის საქმიანობის ორგანიზება;
2. კომპანიის საქმიანობაში საქართველოს საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა დაცვა;
3. კომპანიის ყველა ქვედანაყოფის მწყობრი, შეთანხმებული მუშაობის უზრუნველყოფა;
4. მოადგილეების საქმიანობის კოორდინაცია;
5. მართვის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულება;
6. პერსონალის ეფექტიანი მუშაობა;
7. ხელშეკრულებებისა და სხვა შეთანხმებების შესრულება;
8. კომპანიაში ნორმალური სამუშაო გარემოს შექმნა;
9. აღრიცხვა-ანგარიშგების სათანადო დონეზე დაყენება.

წარმოების დარგში კომპანიის დირექტორის მოადგილის უფლება-მოვალეობებია:

1. თავისი საქმიანობის შეთანხმება კომპანიის მიზნებთან და ამოცანებთან;
2. ხარისხიანი პროდუქციის დროულად გამოშვების უზრუნველყოფა;

3. წარმოების ორგანიზაციაში მოწინავე მეთოდების დანერგვა;
4. ახალი ნაწარმის გამოშვების ხელმძღვანელობა და კონტროლი;
5. სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დაცვისადმი ზედამხედველობა;
6. უსაფრთხოების დაცვა, შრომის კანონმდებლობის დაცვა, მაღალმწარმოებლური მუშაობის პირობების უზრუნველყოფა.

ეკონომიკურ საკითხებში დირექტორის მოადგილის უფლებამოვალეობებია:

1. თავისი მოქმედებების კომპანიის მიზნებთან და ამოცანებთან შეთანხმება;
2. უმცირესი დანახარჯებით უმაღლესი შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა;
3. ეკონომიკური ქვედანაყოფების მუშაობის კორდინირება;
4. შრომითი დანახარჯების და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვის ნორმატივების შექმნა და გაუმჯობესება;
5. ეკონომიკური რეჟიმის უპეკრესი დაცვა;
6. აქტუალურ ეკონომიკურ საკითხებზე გამოკვლევების ჩატარება;
7. ბუღალტრულ და სტატისტიკურ აღრიცხვაზე კონტროლი და ხარისხობრივი შესრულება.

მარკეტინგში დირექტორის მოადგილის მოვალეობებია:

1. სამომხმარებლო მოთხოვნის შესწავლა;
2. რეკლამის ორგანიზაცია და საქონლის გასაღების სტიმულირება;
3. გამოშვებული პროდუქციის ექსპლუატაციის სერვის-ცენტრების მოწყობა;
4. მარკეტინგული პროგრამების შემუშავება და დანერგვა;
5. ერთიანი კომერციული პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში კოორდინაცია;
6. პროდუქციის გასაღების ბაზრების კონიუნქტურაზე ინფორმაციის შეგროვება;
7. ინფორმაციის სისტემატიზაცია და ანალიზი;
8. კომპანიის მონაწილეობა გამოფენებში, ბაზრობებზე;
9. მზა პროდუქციის გადატვირთვის დაგეგმვა და განხორციელება;
10. ფირმის სტილის შემუშავებაში წინადადებების შეტანა და ა.შ.

სათანადო ინსტრუქციები აქვთ ორგანიზაციული საქმიანობის ობიექტებსაც.

მოვიყვანო რამდენიმე შემოკლებულ ვარიანტს ორგანიზაციული საქმიანობის ობიექტების უფლება-მოვალეობების შესახებ:

მთავარი კონსტრუქტორის, განყოფილების კონსტრუქტორ-დიზაინერის, როგორც ორგანიზატორული საქმიანობის ობიექტის, მოვალეობებია:

- ჩამოაყალიბოს კონკრეტული შემკვეთების მოთხოვნები პროდუქციის დიზაინის სფეროში და შეიმუშაოს დონისძიებები მათ სარეალიზაციოდ;
- დაასაბუთოს დიზაინის მიზანშეწონილობა;

- გაანალიზოს საკონსტრუქტურო სამუშაოები შემკვეთების ინტერესების თვალთახედვით;
 - დაეხმაროს ინჟინერ-კონსტრუქტორს ნაწარმის კონსტრუირებაში;
 - წამოაყენოს ახალი პროდუქციის იდეები;
 - მიიღოს მონაწილეობა ახალი პროდუქციის შექმნაში.
- ეკოლოგის, როგორც ორგანიზატორული საქმიანობის ობიექტის მოვალეობებია:
- დაიცვას გარემოს დაცვის ნორმები, წესები, ინსტრუქციები;
 - დაამუშაოს გარემოს დაცვის ღონისძიებები და გაატაროს ისინი კომპანიაში;
 - შეადგინოს გარემოს მდგომარეობის პარამეტრების ტექნოლოგიური რეგლამენტები, პასპორტები და ინსტრუქციები;
 - შეადგინოს გარემოს დაცვის ღონისძიებათა შესრულებაზე ანგარიშგება.